


სპორტული სურსელები

№7 (17)

აპრილი, 2001

ფანი 1

სპორტიელები



ირაკლი ბაგჩელიძე

3 შაჰოქედი
ჯარისკაცები

სოლომონ გულისაშვილი

5 ლიბეაქიდან
ნოდიაძე

პაპუნა კედიპა

8 ერიკა. ერიკა
აგუაზი

სოსო კოტორეიშვილი

10 შორია
შაჰოდგოგაძე

ვანო ოძროპირიძე

11 აე. ეუა

დავით გულუა

18 სხვადასხვა

დავით გულუა

20 გორანის
დაბრუნება

ირაკლი ფირაშვილი

21 კანალიზაციის
შილი


13-17 გვერდი. შტეფან ეფენბერგი
REUTERS

14-15 გვერდი. ალენ აივერსონი
REUTERS

I არგენტინელმა ჭაბუკებმა მსოფ-
ლიოს თასი ჩაიბარეს

III პოლანდიელმა მოცურავე ინგე-
დე ბრუინმა თავი არც იაპონი-
აში შეირცხვინა REUTERS

IV მსოფლიოს 2001 წლის ჭაბუკ-
თა მსოფლიოს ჩემპიონატის გა-
მარჯვებული არგენტინის ნაკრები
REUTERS



მართო ფრანგი სისე კი არა, მთელი მსოფლიოს
ფეხბურთელი ახალგაზრდობა დადგა ყირაზე,
მაგრამ არგენტინის ნაკრებს ვერაფერი დააკლო.
ხოსე პიკურმანის ბიჭები ყველას
ერთი თავით სჯობდნენ.

სავითლა, კოლოჩინი და ძმანი მათნი... დღეს
ყველა არგენტინულ ფენომენზე ლაპარაკობს და
უახლოეს მომავალში დიეგო მარადონას ქვეყნის
ახალ ვაბრწყინებას ელის.

გაისად მსოფლიოს ჩემპიონატია.
თუმცა, მანამდე სისე ყირაზე დვას და ეს არ
არის გასაკვირი. ის ხომ მსოფლიოსა და
ევროპის ჯერჯერობით
ჩემპიონი ქვეყნის შვილია.

რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი

რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორეიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
დავით ნადირაშვილი

ოპერატორი სვება დვავაძე

მრჩემელთა საბჭო:

ვასტანგ შიკაძე, სოლომონ
გულისაშვილი, ავთანდილ
გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,
ზურაბ მეძველია, ზურაბ ფოცხვერია

ბაზემი სარბიელის დახმარება

რეკლამა შურნალ «სარბიელში» – 93 16 08



შემოქმედი ჯარისკაცები


საშიმრ საშილა... არაღა, საშილა სულაც არ არის მთავარი.

ირაკლი გამყრალიძე

მთავარი სხვაა. მთავარია, რომ ხოსე პეკერმანის მესაკუთხით არგენტინის ახალგაზრდული ნაკრები სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მაგრამ ეგებ ესეც არ იყოს მთავარი, იმიტომ რომ, ძალიან ხშირად ახალგაზრდულ შეჯიბრთა ვარსკვლავები იკარგებიან, გზას კვლავ იგნებენ დიდების თამაშში. ასეთებს, თვით არგენტინელთა შორის ბევრს ვიპოვნით.

მაგრამ წლეულს, წლევიანდელ არგენტინელ ახალგაზრდებში, რომლებმაც ისე მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონობა, როგორც დიდი ბიჭები უგებენ პატარა ბიჭებს, მხელი წარმოსადგენია, ვინმე დაიკარგოს, ან გაქრეს. მე თუ მკითხავთ, მიღწევა სწორედ ეს არის. ჩემპიონატის მსვლე-

ლობისას ხშირად გაიგონებდით, რომ სავიოლაც, ფრანჩესკო კუდიჩინიც, მაქსი როდრიგესიც, ანდრეს დალესანდროც და სხვანაც ამ საოცარი, უწვერული ბიჭების გუნდიდან ნამდვილი მოთამაშენი არიან. ამ ბიჭებში მილიონებს იხდიან და ამ ბიჭებს კონკურენტი არა ჰყავთ თანატოლებში. იმის ლაპარაკი, რომ ისინი სამხრეთელები არიან და თინეიჯერი სამხრეთელი ბევრად მეტის შექმდეა, ვიდრე მისი ტოლი ჩრდილოელი, სრულიად ვერ ახსნის იმას, რომ არგენტინელების ასე ფრიადზე გადმიაქვთ მოედანზე პეკერმანის დახაზული რამები (და თქვენ ხომ იცით, რარივ უყვართ არგენტინელ მწვრთნელებს ხაზვა). ამით ვერ ახსნი, რომ ბიჭები ასე გრძნო-



REUTERS

ხავიერ სავიოლა ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის გამორად იქცა

ბენ ბუროს, ასე მოაქვთ შენამდე საუკუნოვანი არგენტინული ტექნიკა.

საერთოდ, არგენტინული ფეხბურთის ერთ-ერთი თვისება, მი-

სი ორგანიზებულობაა. სტილს კი არ ვგულისხმობ, სტილი ყველას თავისი აქვს, საქვეყნო, თუ გუნდური და ეს სტილიც ხშირად მწვრთნელის ხელშია. არგენტინული ფეხბურთი ავ მწვრთნელთა ხელში რომ იყო, მაშინაც უამრავი ჰყავდა შემოქმედი ვარსკვლავები. არგენტინელთა თამაში ყოველთვის ორგანიზებულია, ისევე როგორც ჩრდილოეთში, არგენტინაშიც, ფეხბურთელი ჯარისკაცია (უთქვათ, ბრაზილიისგან განსხვავებით), მაგრამ ჯარისკაცი-შემოქმედი. შეხედეთ დღევანდელ არგენტინელ ფეხბურთელებს და იოლად მიხედებით, რასაც ვგულისხმობ.

და ამას არა მხოლოდ დიდები, არამედ სავიოლა და მისი ამხანაგებიც ასურხებენ.

პეკერმანის გუნდში საკვირველი და მთავარიც ესაა. ძალიან მხელია თერთმეტი ბიჭი ამგვარად იყოს ორგანიზებული და შემოქმედების ამგვარი უნარი გააჩნდეს. ხოსე პეკერმანი პროფესორია. არგენტინა უცვლელი მსოფლიო ჩემპიონი.

თორემ, ხავიერ სავიოლა ვინ არის და მომავალში კიდევ ვინ იქნება, კარგად ჩანს.

მერვედღიანალში ადრიანო რიბერიოს (მარჯვნივ) ბრაზილიამ მარკ ბონესს და სხვა ავსტრალიელებს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა



REUTERS

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

არგენტინა. 17 ივნისი — 8 ივლისი 2001

A ჯგუფი

არგენტინა — ფინეთი 2:0; ეგვიპტე — იამაიკა 0:0; იამაიკა — ფინეთი 0:1; ეგვიპტე — არგენტინა 1:7; არგენტინა — იამაიკა 5:1; ფინეთი — ეგვიპტე 1:2

არგენტინა	3	3	0	0	14:2	9
ეგვიპტე	3	1	1	1	3:8	4
ფინეთი	3	1	0	2	2:4	3
იამაიკა	3	0	1	2	1:6	1

არგენტინა და ეგვიპტე გავიდნენ მერვედ-ფინალში

B ჯგუფი

ბრაზილია — გერმანია 2:0; ერაყი — კანადა 3:0; კანადა — გერმანია 0:4; ერაყი — ბრაზილია 1:6; ბრაზილია — კანადა 2:0; გერმანია — ერაყი 3:1

ბრაზილია	3	3	0	0	10:1	9
გერმანია	3	2	0	1	7:3	6
ერაყი	3	1	0	2	5:9	1
კანადა	3	0	0	3	0:9	0

ბრაზილია და გერმანია გავიდნენ მერვედ-ფინალში

C ჯგუფი

აშშ — ჩინეთი 0:1; ჩილე — უკრაინა 2:4; უკრაინა — ჩინეთი 0:0; ჩილე — აშშ 1:4; აშშ — უკრაინა 1:1; ჩინეთი — ჩილე 0:1

უკრაინა	3	1	2	0	5:3	5
აშშ	3	1	1	1	5:3	4
ჩინეთი	3	1	1	1	1:1	4
ჩილე	3	1	0	2	4:8	3

უკრაინა, აშშ და ჩინეთი გავიდნენ მერვედ-ფინალში

D ჯგუფი

ანგოლა — ჩეხეთი 0:0; იაპონია — ავსტრალია 0:2; ავსტრალია — ჩეხეთი 0:3; იაპონია — ანგოლა 1:2; ანგოლა — ავსტრალია 1:1; ჩეხეთი — იაპონია 0:3

ანგოლა	3	1	2	0	3:2	5
ჩეხეთი	3	1	1	1	3:3	4
ავსტრალია	3	1	1	1	3:4	4
იაპონია	3	1	0	2	4:4	3

ანგოლა, ჩეხეთი და ავსტრალია გავიდნენ მერვედფინალში

E ჯგუფი

ეკვადორი — ეთიოპია 2:1; ჰოლანდია — კოსტა რიკა 1:3; კოსტა რიკა — ეთიოპია 3:1; ჰოლანდია — ეკვადორი 1:1; ეკვადორი — კოსტა რიკა 0:1; ეთიოპია — ჰოლანდია 2:3

კოსტა რიკა	3	3	0	0	7:2	9
ეკვადორი	3	1	1	1	3:3	4
ჰოლანდია	3	1	1	1	5:6	4
ეთიოპია	3	0	0	3	4:8	0

კოსტა რიკა, ეკვადორი და ჰოლანდია გავიდნენ მერვედფინალში

F ჯგუფი

განა — პარაგვაი 2:1; ირანი — საფრანგეთი 0:5; საფრანგეთი — პარაგვაი 2:2; ირანი — განა 0:1; განა — საფრანგეთი 0:0; პარაგვაი — ირანი 2:0

განა	3	2	1	0	3:1	7
საფრანგეთი	3	1	2	0	7:2	5
პარაგვაი	3	1	1	1	5:4	4
ირანი	3	0	0	3	0:8	0

განა, საფრანგეთი და პარაგვაი გავიდნენ მერვედფინალში

1/8 ფინალი

აშშ 0:2 ეგვიპტე

0:1 რეიადი (76პ), 0:2 ელ იამანი (88)

არგენტინა 2:1 ჩინეთი

1:0 მ. როდრიგესი (4), 1:1 ბო კუ (55), 2:1 დომინგესი (79)

საფრანგეთი 3:2 გერმანია

0:1 აუერი (19), 1:1 ჯ. სისე (34პ), 2:1 მენდი (41), 2:2 ბურხარდტი (78), 3:2 ჯ. სისე (90)

ბრაზილია 4:0 ავსტრალია

1:0 ადრიანო (27), 2:0 კაკა (53), 3:0 ადრიანო (66), 4:0 ელუარდო (74)

უკრაინა 1:2 პარაგვაი

0:1 პ. ბენიტესი (19), 0:2 ხ. გონსალესი (43), 1:2 ბელიკი (90)

ანგოლა 0:2 ჰოლანდია

0:1 მუსტაფა (52), 0:2 ჰუნტელაარი (86)

კოსტა რიკა 1:2 ჩეხეთი

0:1 მუსილი (21), 1:1 სკოტი (24), 1:2 იუნი (71)

განა 1:0 ეკვადორი

1:0 ჯ. მენსა (13)

1/4 ფინალი

არგენტინა 3:1 საფრანგეთი

1:0 სავიოლა (5), 1:1 მეშე (44), 2:1, 3:1 სავიოლა (45პ, 84)

განა 2:1 დ.დ. (1:1) ბრაზილია

0:1 ადრიანო (44), 1:1 იბრაჰიმი (80), 2:1 ჯ. მენსა (93, ოქროს გოლი)

ჩინეთი 0:1 პარაგვაი

0:1 სალკედო (31)

ჰოლანდია 1:2 ეგვიპტე

1:0 ვან დერ ვარტი (33), 1:1 ამინი (47), 1:2 ელ იამანი (65)

1/2 ფინალი

ეგვიპტე 0:2 განა

0:1 ინუსა (83), 0:2 ელ ატრაფი (88ს.კ.)

არგენტინა 5:0 პარაგვაი

1:0, 2:0 სავიოლა (18, 24), 3:0 რომანიოლი (41), 4:0 დალესანდრო (52), 5:0 ერერა (70)

მატჩი მესამე ადგილისთვის

პარაგვაი 0:1 ეგვიპტე

0:1 ელ იამანი (64)

ფინალი

08.07.2001. ბუენოს აირესი. „ხოსე ამალფიტანი“. 32 000 მაყურებელი

არგენტინა 3:0 განა

1:0 კოლოტო (6), 2:0 სავიოლა (14), 3:0 როდრიგესი (73)

იბრაჰიმი ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)

არგენტინა: კაბალიერო, ბურდისო, არკა, სეტო, მედინა (სელცერი 90), კოლოტო, პონციო, დალესანდრო (ერერა 80), რომანიოლი (როსალესი 70), სავიოლა, როდრიგესი

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი
განა: ბანაჰენი, მუნტარი, ესენი, ვილარსი, პაპოე, იბრაჰიმი, პიმპინგი (ოსეი 75), დ. ბოატენი, ჯ. მენსა, პანცილი, დუა (ს. ტომსონი 68)

მწვრთნელი: ემანუელ აფრანი
გაფრთხილება: მენსა, მუნტარი, პონციო
მსაჯე: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

REUTERS



ჰოლანდიელი იუსუფი (№10) და ეთიოპიელი ელიუ ბეკელე



ლიბეჰეკიდან ნოდიაშვილი

მწვრთნელები და ხასიათები

დღეს, როცა საქართველოში ასე მწვავედ დგას მწვრთნელობის პრობლემა, ალბათ, ურიგო არ იქნება ცოტა წარსულშიც ჩავიხედოთ და ერთხელაც ვნახოთ, ვინ წვრთნიდა უპირველეს ქართულ გუნდ თბილისის „დინამოს“ ვასული ნწ წლის მანძილზე, ანუ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებიდან დაწყებული დღემდე.

სოლომონ გულიანაშვილი

ბეჰერი რამ მოხდა ამ დროში სამართლიანად და უსამართლოც. მაგალითად, 70-იან წლებამდე ქართველ მწვრთნელებს უმაღლეს დონეზე ხეირიანად არც უშუშავიათ. ვთქვათ, დღემდე გამოცანად რჩება, ერთხელ როგორ არ ჩააბარეს „დინამო“ უნიჭიერეს გიგა ნორაკიძეს. ანდა, ვინ იცის, რა მოხდებოდა, ანდრო ჟორდანიასთვის რომ ბოლომდე მუშაობის საშუალება მიეცათ...

ანდრო ჟორდანიას და ნოდარ ახალკაცი დღეს ქართველთაგან ეს ორნი ითვლებიან უძლიერეს მწვრთნელებად და, ალბათ, ასეც არის. ამათ გარდა, „დინამოს“ კიდევ რამდენიმე დიდი დამრიგებელი ჰყავდა, ჩეხი ჟიულ ლიბეკი, ვინც ქართველებს ევროპული ტექნიკის ანბანი ასწავლა, „დოქტორი“ ალექსეი სოკოლოვი, კოლორიტული მიხაილ ბუტუსოვი და ასირ გალპერინი, ფეხბურთის პროფესორები მიხაილ იაკუშინი და გავრილ კაჩალინი...

უცხოელებს გუნდში ყოველთვის თავისი ფილოსოფია და სახლე მოქმედობა და ეს ერთგვარად ახალი სისხლის გადასხმასაც წააგავდა. ბოლო ასეთი, ამ ორიოდ წლის წინ, პოლანდიელი იოჰან ბოსკაში იყო, ვინაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სამიოდ თვეს იმუშავა „დინამოში“.

თუ ხანგრძლივობის მიხედვით ვნახავთ, აქ პირველობა დავით ყიფიანს უჭირავს. ყიფიანი ჯამში დაახლოებით ცხრა წელიწადს წვრთნიდა „დინამოს“. დღევანდელთაგან ამ რეკორდს კარგა ხანს ვერაინ შესწვდება.

დიდი გუნდის ნაღდი ბიოგრაფია 1936 წლის ზაფხულიდან დაიწყო, როცა „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ლიბეკმა პირველი სერიოზული გამოცდა გუნდს ჩინებულად ჩააბარებინა, მთელმა ქვეყანამ გაიცნო ლალი და ტექნიკური ქართული ფეხბურთი. „ახალგაზრდა კომუნისტი“ წერდა: „დინამოელთა წვრთნას ხელმძღვანელობს უცხოელი ტრენერი ჟო-

ულ ლიბეკი, რომლის მეოხებით გუნდმა ბევრად გაზარდა თავისი სპორტული კლასი. რეგულარულმა ვარჯიშმა და ძლიერ გუნდებთან შეხვედრაში მიღებულმა გამოცდილებამ ბევრით გაზარდა ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი. კავშირის საუკეთესო გუნდებზე გამარჯვებამ კი ჩვენს ფეხბურთელებს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა.“

მიხაილ ბუტუსოვი პეტერბურგელი კაცი იყო. 20-30-იანი წლების საბჭოთა ფეხბურთის ლეგენდა. თბილისის „დინამოში“ მან თავისი პრინციპები და სტილი მოიტანა. მისი ხელმძღვანელობით „დინამომ“ ორჯერ მოიგო საკავშირო ვერცხლი. საინტერესო კაცი ყოფილა. ალალი, მუყაითი, მაგრამ ბილწი ენის პატრონი. ერთ-ორი ჭიქის ჩაპირქვაებაზეც არ ამბობდა უარს და ბოლოს ამან დალუბა. ერთხელ შინ ნასვამი მივიდა, კარი ცოლმა გაუღო და ძაღლის გასეირნება დაავალა. ბუტუსოვმა თასმა ხელზე შემოიხვია და ის იყო, ჩასვლას აპირებდა, რომ უცებ ძაღლი გაქანდა და პატრონიც კიბეზე ჩაიყოლია. ასე დამთავრდა 62 წლის კაცის ცხოვრება.

მიხაილ იაკუშინი „დინამოში“ სამჯერ მუშაობდა. „დიდი თეორეტიკოსი“ პირველად 1950 წლის ზაფხულში გამოჩნდა. მას წვრთნის ერთი განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდა: დაჯდებოდა ველოსიპედზე და უეცარ აჩქარებებს ზომიერ ტემპს უნაცვლებდა. ფეხბურთელები კი



მიხაილ ბუტუსოვი



ანდრო ჟორდანიას



მიხაილ იაკუშინი



გავრილ კაჩალინი



ბორის პაიჭაძე



ვაიოზ ჯეჯელავა



ნოდარ ახლაკცი



დავით კვიციანი



რევაზ ძოღუშვილი



გივი ნოდია



მურთაზ შურცილავა



იოსებ ბოსკაშვილი

უკან მისდევდნენ. ასეთი ვარჯიში საათობით გრძელდებოდა. მის დროს დისციპლინას ვერავინ არღვევდა.


1953-ში იაკუშინი ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტური არღვე მოხსნეს.

რატომაც უცებ მოსკოვის „დინამოში“ გადაიყვანეს, არადა, თბილისელები პირველ ადგილზე იყვნენ. მერე ჩვენებს მოპოვებული ჩემპიონობა ისე წაართვეს, ალბათ, არც ერთ სხვა ქვეყანაში რომ არ მოხდებოდა.

მეორედ 1962 წელს მოვიდა და ის გუნდი მოამზადა, 64-ში პირველად რომ გახდა კავშირის ჩემპიონი. ევ არის, ადგილობრივი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებთან იკამათა და შეშვიდე ტურიდან ადგილი ვაკრილ კაჩალინს დაუთმო. კაჩალინი ხშირად ამბობდა: „მართალია, თბილისელები ჩემს ხელში გაჩემპიონდნენ, მაგრამ მე ხომ იქ იაკუშინის

მერე მივედი.“ თავად კაჩალინი, კორექტული და რბილი ადამიანი იყო. თეორიულ მეცადინეობებზე ისე საინტერესოდ ლაპარაკობდა, ფეხბურთელებს ოთახიდან გასვლა აღარ უნდოდათ.

იაკუშინი თბილისში მესამედ 1974 წელს ჩამოვიდა. მაშინ არაფერი მოუგიათ, მაგრამ მაინც ბევრი გააკეთა „საუკუნის გუნდისთვის“. იმხანად გუნდის უფროსი ნოდარ ახლაკცი მას თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. იაკუშინიც ხშირად ამბობდა, ახლაკცი აუცილებლად „დინამოს“ მწვრთნელი უნდა გახდესო. და კიდევ, შეიძლება ბევრს აღარც ახსოვდეს, ოჩამჩირიდან თბილისში ვიტალი



სერგო კუტივაძე



ოთარ კორღალიძე



რევაზ არველაძე



გოჩა ტყეშელავა

დარასელია სწორედ იაკუშინის დროს გადმოვიდა.

ანდრო ჟორდანიას უდიდეს ქართველ მწვრთნელად მიიჩნევენ. უპირველესად მისი საოცარი ალღოს გამო: „საუკეთესო მწვრთნელი? საუკეთესო ანდრო ჟორდანიასა. ის იყო ერთი და, ალბათ, განუმეორებელიც, როგორც კოლორიტით, ისე საფეხბურთო აზროვნებითა და ინტუიციით“ — ეს ნოდარ ახალკაცის სიტყვებია. მისი აღმოჩენილები არიან ვლადიმერ მარლანია, შოთა იამანაძე, გიგა ნორაკიძე, ზაურ კალოევი, მურთაზ ხურცილავა, კოტრიკაძეები.

64-ის გუნდის პირველი შემოქმედიც ჟორდანიას იყო. 1959-ში მან ნიჭიერი და ტექნიკური ფეხბურთელები ჩაიბარა, მერე

ისინი გუნდურად სწორად თამაშს მიჩვეა და საქმეც წინ წავიდა. არ დააცალესო — ამბობდნენ მერე — კიდევ ბევრ კარგს გააკეთებდაო...

ნოდარ ახალკაცის დროს კი თბილისის „დინამო“ და ქართულმა ფეხბურთმა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომელსაც, ალბათ, ძალიან დიდ ხანს ვეღარ გაიმეორებს. უმკაცრესი მწვრთნელი. კაცი, რომელსაც წიგნი უყვარდა და ბუნებრივ ნიჭს თეორიულ ცოდნასაც უმარჯვებდა. აბა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, რამდენია დღეს ჩვენში ისეთი მწვრთნელი, წიგნის კითხვა რომ უყვარდეს?

ახალკაცს ახალი ფეხბურთელები თითქმის არ მოუყვანია. გუნდში ვარსკვ-

ლავები ისედაც ბევრნი იყვნენ, უბრალოდ, ყველაფერს თავისი ადგილის გამოძებნა და მიჩენა სჭირდებოდა. თავიდან თამაში დაცვიდან ააწყო, რაც ქართული ფეხბურთისთვის უჩვეული იყო და ქომაგთა ერთგვარი გაღიზიანებაც გამოიწვია. მაგრამ როცა თავდასხმელებსაც ასწავლა დაცვა, მერე ნელ-ნელა ჩვეულ, ლალ სტილს დაუბრუნდა და დაიწყო... სსრკ ჩემპიონობა, ორჯერ ქვეყნის თასი და ბოლოს თასების თასი — 1981 წლის 13 მაისი, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღე მეოცე საუკუნის საქართველოში. და ამის შემოქმედი ნოდარ ახალკაცი — მართლაცდა ქართული ფეხბურთის გაუცინარი ხელმწიფე...


თბილისის «დინამოს» მწვრთნელები

1936	ფიულ ლიმბეკი
1937	ალექსეი სოკოლოვი
1938	ალექსეი სოკოლოვი
1939	ალექსეი სოკოლოვი
	მიხაილ ბუტუსოვი (შუა სეზონიდან)
1940	მიხაილ ბუტუსოვი
1941	პიოტრ ფილიპოვი
1945	ასირ გალპერინი
1946	ანდრო ჟორდანიას
1947	ანდრო ჟორდანიას
1948	მიხეილ ბერძენიშვილი
1949	მიხაილ მინაევი
	ალექსეი სოკოლოვი
1950	ალექსეი სოკოლოვი
	მიხაილ იაკუშინი (შუა სეზონიდან)
1951	მიხაილ იაკუშინი
1952	მიხაილ იაკუშინი
1953	მიხაილ იაკუშინი
	ბორის პაიჭაძე (ავგვისტოდან)
1954	ბორის პაიჭაძე
1955	ანდრო ჟორდანიას
1956	გაიოზ ჯეჯელავა
1957	გაიოზ ჯეჯელავა
1958	ვასილი სოკოლოვი
1959	ანდრო ჟორდანიას
1960	ანდრო ჟორდანიას
1961	ანდრო ჟორდანიას
	ავთანდილ ლოღობერიძე (მეორე ნრიდან)
1962	ავთანდილ ლოღობერიძე
	მიხაილ იაკუშინი (ივნისიდან)
1963	მიხაილ იაკუშინი
1964	მიხაილ იაკუშინი
	გავრილ კაჩალიანი (აპრილიდან)
1965	გავრილ კაჩალიანი
1966	ალექსანდრე კოტრიკაძე
1967	ვიარესლავ სოლოვიოვი
1968	ვიარესლავ სოლოვიოვი
1969	გივი ჩოხელი
1970	გივი ჩოხელი
1971	გავრილ კაჩალიანი
1972	გავრილ კაჩალიანი
1973	ალექსანდრე კოტრიკაძე
1974	გივი ჩოხელი
	მიხაილ იაკუშინი (შუა სეზონიდან)

1975	მიხაილ იაკუშინი
1976	ნოდარ ახალკაცი
1977	ნოდარ ახალკაცი
1978	ნოდარ ახალკაცი
1979	ნოდარ ახალკაცი
1980	ნოდარ ახალკაცი
1981	ნოდარ ახალკაცი
1982	ნოდარ ახალკაცი
1983	ნოდარ ახალკაცი
1984	დავით ყიფიანი
1985	დავით ყიფიანი
1986	დავით ყიფიანი
	ნოდარ ახალკაცი (შუა სეზონიდან)
1987	კახი ასათიანი
	გერმან ზონინი (შუა სეზონიდან)
1988	დავით ყიფიანი
1989	დავით ყიფიანი
1990	დავით ყიფიანი
1991	დავით ყიფიანი
	რევაზ ძოძუაშვილი (ივნისიდან)
1992	რევაზ ძოძუაშვილი
1993	რევაზ ძოძუაშვილი
	გივი ნოდია (მაისიდან)
1994	გივი ნოდია
	თემურ ჩხაიძე (ოქტომბერში)
	სერგო კუტივაძე (ნოემბრიდან)
1995	სერგო კუტივაძე
	ვაჟა ჟვანია (მარტში)
	დავით ყიფიანი (აპრილიდან)
1996	დავით ყიფიანი
1997	დავით ყიფიანი
1998	დავით ყიფიანი
	ნოდარ აკობია (აპრილში)
	მურთაზ ხურცილავა (მაისიდან)
1999	მურთაზ ხურცილავა
	იოჰან ბოსკამპი (3 მაისი-10 აგვისტო)
	გია გეგუჩაძე (11-15 აგვისტო)
	ოთარ კორღალიძე (16 აგვისტოდან)
2000	ოთარ კორღალიძე
	ჯემალ ჩიმაკაძე (8 მაისი-11 ივლისი)
	რევაზ არველაძე (12 ივლისიდან)
2001	გორა ტყეშელავა (12 მარტი-12 ივნისი)
	გივი ნოდია (13 ივნისიდან)

გაიძა, გაიძა ამბები

პაპუნა კელია



1970 წელს, განთქმული შოტლანდიელი თავდამსხმელი კენი დაღვლიში ჯერ ყმაწვილკაცი იყო და მოხდა ისე, რომ „სელტიკმა“ ნონ ლივის „კამბერნლოდ იუნაიტედს“ ათხოვა. ამრიგად, „იუნაიტედი“ გაძლიერდა და თეორიულად ზემო ლიგაში ასვლისთვის უნდა ებრძოლა კიდევ, მაგრამ ასე არ მოხდა.

რატომ? იმიტომ, რომ გუნდის მწვრთნელმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და დაღვლიში ოპტიმალურ პოზიციაზე არ ათამაშა — კარში ჩააყენა.

ურწმუნოთა საყურადღებოდ: „კამბერნლოდ იუნაიტედის“ ოფისში დაკიდებულ ფოტოთა შორის არის ერთი, რომელზეც ახალგაზრდა დაღვლიში, თავისი ეპოქის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბომბარდირი, ლაფში ამოთხვრილი, ბურთით ხელში კარის წინ მუხლებზე დგას. ცხადია, მეკარის ფორმაც აცვია.

ჩვენ, სამწუხაროდ, ეს ფოტო არ გვაქვს, ამიტომ სხვას ვთავაზობთ.



ივზლისი რომ ნისლიანი ალაგია, ბევრჯერ წავიკითხავს. აი, კიდევ ერთი მაგალითი: კემბრიჯშირის ლივის ერთ-ერთი შეხვედრის დროს ნისლმა დაშვება დაიწყო და მეთუე წუთისთვის მოედნის ნახევარი აღარ ჩანდა. მსაჯმა, ცხადია, მატჩი შეწყვიტა და ფეხბურთელებთან ერთად თბილი გასახდელისკენ გაემურა. ისხდნენ ასე, კომფორტულ გარემოში, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი ერთი გუნდის ერთმა მოთამაშემ შეიძახა: უი, ჩვენი მეკარე სად არის?

მეკარე გასახდელში რომ ვერ ნახეს, მის საძებნელად მოედანზე დაბრუნდნენ და რას ხედავენ: დგას პატიოსანი კაცი თავის ადგილას და ფიქრობს, ეს რა კარგად თამაშობენ ჩვენები, სულ უტევენ და უტევენ, მაგრამ ფეხზღადაც უნდა ვიყო, ემანდ ყურადღება არ მომიდუნდესო.



ახლა კი ერთი ცნობილი ირლანდიური საქომაგო სიმღერის შესახებ: ქვეყნის თასზე „ნიუტონარდისი“ „ბელიკასტლს“ ეთამაშებოდა. თამაშს დაახლოებით 100 მაყურებელი ესწრებოდა, ხოლო შორიახლოს ნამცხვრის მცნობთა კონკურსი გახურებულიყო. ნამცხვრის კონკურსში ყველასთვის მოულოდნელად მავანმა დაგლას სალტერსმა გაიმარჯვა (მოაქციეთ ყურადღება, საკუთარი ქვეყნის ისტორიის რა ნიუანსებს აღრიცხავენ!) რის გამოც ვიღღოს გარეშე დარჩენილი ფავორიტი ბერნი ბოტმანი გაცხარდა, თავის ნახელავს ხელი სტაცა და ანგარიშმოუცემლად ფეხბურთის მოედანზე შევარდა, სადაც გრძნობათა დასაცხრობად, ნამცხვრის ნაჭრები ფეხბურთელებს დაუშინა.

ახლოს მდგომმა ბელიკასტლელმა თავდამსხმელმა მცირედ ღიბიანმა ჯონი მაკრიდემ აგრესორისკენ ისკუპა და ნამცხვარი წაართვა. და სწორედ ამ დროს ტრიბუნამ დასცხო სიმღერა, რომელიც შემდეგ მთელ ირლანდიას მოედო. ქართულად მისი ტექსტი ასე უღერს: „ვინ შეჭამა მთელი ნამცხვარი? ვინ შეჭამა მთელი ნამცხვარი? შენ მსუქანო ნაბიჭვარო, შენ მსუქანო ნაბიჭვარო, ხარ ის ვინც მთელი ნამცხვარი შეჭამა“.




ურუშპაის ფეხბურთის ისტორიაში ცნობილია წინა საუკუნის 30-იანი წლების შემთხვევა, როდესაც „ნასიონალის“ თავდამსხმელმა ბურთს დაარტყა, ოდნავ ააცილა კარს, მაგრამ ზასტად გაარტყა მოედანთან ახლო მდგომ ფოტორეპორტიორს, რომლისგან ასხლტლიც მოედანზე დაბრუნდა და „ნასიონალის“ მეორე თავდამსხმელმა იგი მეტოქის კარში შეავლო. მსაჯი შორს იდგა, წესის დარღვევა ვერ შენიშნა და გოლი ჩათვალა.



ინგლისში, ძალიან, ძალიან დაბალ ლიგაში, იქ საიდანაც პრემიერლიგამდე ათი საფეხურია — გვარიან ტალახში პრინციპული შესვენება მიმდინარეობდა. ერთი გუნდის თავდასხმელს მეორე გუნდის მცველი ეუხეშა, რამაც ტრიბუნაზე მავანი გულშემატკივარი გაახელა. გახელებული მოედანზე ჩახტა, უხეშ მცველსა და მსაჯს მიეჭრა და ყვირილი დაუწყო.

მსაჯი თავიდან დაიბნა. ხსნა, თითქოს, არსიდან ჩანდა, ჩამხტარს კი ეტყობოდა, რომ სრულ ჭკუაზე ვერ უნდა ბრძანებულებო. და რევერიმ ხერხი არჩია დინესა: ჯიბიდან წითელი ბარათი ამოიღო და ააფრიალა. წითელი ბარათის აფრიალებას დიდებული შედეგი მოჰყვა: გახელებული გულშემატკივარმა თავი ჩაღუნა და გასახდელისკენ გაეშურა.



მს ამავე 1991 წელს მოხდა. ურუგვაიში ცენტრალური თამაში მიმდინარეობდა: „პენიაროლი“ — „ნასიონალი“. გუნდები უშეღავთოდ ებრძოდნენ ერთმანეთს. ერთ ეპიზოდში „ნასიონალის“ პანამელი თავდამსხმელი, შემდგომ წლებში ევროპაში თამაშით ცნობილი დელი ვალდესი და „პენიაროლის“ მცველი გონსალვეში კუთხურიდან ბურთის ჩაწოდებას ელოდნენ და საჯარიმოში ხელსაყრელი ადგილის მოსაპოვებლად, როგორც წესი და რიგია, ერთმანეთს ეჯავჯვრებოდნენ. მომენტს გაფაცვიცებით აკვირდებოდა ტელეკამერაც.

აი, სულ ეს იყო, რისი თქმაც გვინდოდა... იმის დამატებით, რომ საფინანსო სასტყვენის შექმნა, გასახდელში ჩასულ, დამაშვრალ გონსალვეშს პოლიცია დაუხვდა და გეტრიდან დელი ვალდესის ოქროს ძეწკვი ამოუღო. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის გასახსნელად ურუგვაელ სამართალდამცველებს არც ოპერატიული ჯგუფი შეუქმნათ და არც ვინმეს თითის ანაბეჭდები მოუძიებიათ. ყველაფერი ძალიან მსხვილი პლანით გამოჩნდა ქვეყნის ყველა ოჯახში მღებარე ტელევიზორის ეკრანზე.

გონსალვეშმა ძეწკვი დააბრუნა, ოღონდ, თავი მორცხვად დახარა თუ არა, ვერ გეტყვით.

და ვინაიდან გონსალვეშმა ძეწკვი დააბრუნა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა.

ასეთი ქვეყანა ურუგვაი...

დელი ვალდესს კი, საზოგადოდ, ძალიან უყვარს მოედანზე ნაირ-ნაირი სამკაულით გასვლა.



თუ ოკეანეს გადაკვეთთ და ურუგვაიში დაგვბრუნდებით, აუცილებლად გვიამბობენ 1996 წლის ლიბერტადორესის თასის მატჩის, „პენიაროლი“ — „სან ლორენსოს“ ისტორიას. „სან ლორენსო“, მოგესხენებთ, არგენტინული გუნდია და ამიტომ, მას ურუგვაიში არგენტინელი ქომაგები გაყვნენ, მაგრამ ზოგმა, კერძოდ კი ათმა მათგანმა, სტადიონზე ვერ შეაღწია, რადგან შესასვლელში ბილეთების წარდგენის დროს პოლიციელებმა აკრძალული საგანი ჩამოართვეს და შიგაც აღარ შეუშვეს.

აკრძალული საგანი თოფი გახლდათ.



ურუგვაიში კიდევ ასეთი ამბავი იყო: 1996 წლის ივნისში ზემოხსენებული „პენიაროლი“ „დანუბიოს“ ეთამაშებოდა და 0:1 აგებდა. „პენიაროლი“, მოგესხენებთ, „პენიაროლია“ და ვილაც „დანუბიოსთან“ წაგება მის ქომაგებს ძალიან ერცხვინებოდათ. ამიტომაც დაიწყეს მოედანზე რალაც-რალაცების სროლა. დაიწყეს პატარა საგნებით, კენჭებით, საათებით... შემდეგ ნივთების ზომამ ზრდა იწყო.

მსაჯი კი ყურადღებას არ აქცევდა, ძალიან უნდოდა მატჩი ვაჟკაცურად ჩაემთავრებინა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ნივთების ზომამ ზრდა იწყო, რამაც, საბოლოოდ არბიტრი აიძულა შეხვედრა შეეწყვიტა.

მან ეს მას მერე გადაწყვიტა, რაც თანამსაჯს ტრიბუნიდან ნასროლი... მთლიანი კლუბი მოხვდა.

მსუბუქად, კიდევ კარგი.



UEFA
CHAMPIONS
LEAGUE

ჩემპიონთა ლიგა. 2001-2002. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

უმრია შემოდგომამდე ზღვარდადებული ოცნება

ჭუთაისი. „ტორპედო“. მაყურებელი 13 000. 21 საათი

ტორპედო 1:1 კოპენჰაგენი

0:1 ზუმა (44), 1:1 აშვეთია (76)

კოპენჰაგენი. „არკენი“. მაყურებელი 14 325. 22 საათი

კოპენჰაგენი 3:1 ტორპედო

1:0 ზუმა (45), 2:0 ლონდსტრუპი (59), 3:0 ფერნანდესი (75), 3:1 ქუთათელაძე (88)

სოსო კობორაიშვილი

სამსრემთაფრიკელი. სიბუსისო ზუმა, რომელსაც იტალიურ სერია A-ში თამაში ამოუჭრია ოცნებად გულში, ახლა კი დანიური „კოპენჰაგენისთვის“ აგორებს ბურთს, საქართველოს ჩემპიონს, ქუთაისის „ტორპედოს“ ყოველთვის მწარედ მოაგონდება. სწორედ ამ ქერა ზანგის ქუთაისში და კოპენჰაგენში გატანილმა ორმა გოლმა გადაწყვიტა ჩემპიონთა ლიგის მეორე სა-

კვალიფიკაციო ეტაპზე „ტორპედო“ — „კოპენჰაგენის“ ორმატნიანი დუელის ბედი. ცხადია, ზუმას გოლებით დანიურმა გუნდმა იმარჯვა და მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა. იქ კი მისი მეტოქე რომის „ლაციო“ იქნება. ახლა, ცოტა ხნით წავიციანებით, ზუმას გოლები არ ჩავთვალოთ და ქუთაისში „ლაციო“ ჩამოვიყვანოთ ალესანდრო ნესტას კაპიტნობით და ივლისში 41 მილიონ დოლარად ნაყიდი გაისკა მენდიეტათი.

ოცნებას კაცი არ მოუკლავსო და ჩვენც, ერთი პირობა, ღრმად შეტოვვა დავაპირეთ, მაგრამ თურმე ოცნებასაც აქვს ზღვარი, აბა, სად ქუთაისის „ტორპედო“ და სად რომის „ლაციო“.

ერთი სიტყვით, ვერც ქართული გუნდი და ვერც საკუთარი თავი ასეთი ფუფუნებითვის „ვერ გავიმეტეთ“. ეგ კი არა, „კოპენჰაგენთან“ მატჩის წინ დანიელებთან წარმატებული თამაშისა გვექვევებოდა, როგორც გამოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ.

ეს ეჭვი, ზოგადად ქართულ ფეხბურთს შეყრილმა სენმა დაბადა და, რა გასაკვირია, ჩვენი გუნდების ევროტურნირებზე უხეირო და უსახურ თამაშს შეგუებულნი რომ ვართ.

„ტორპედოს“ „კოპენჰაგენთან“ მარცხი კანონზომიერი იყო, ახლა ამაზე ლაპარაკი ილიაო, გვეტყვი მავანი, მაგრამ აბა, გულზე ხელი დაიდეთ და ალაღად თქვით, გუნდს, რომელიც გოლის არგამუგებაზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე გატანაზე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში რა ესაქმება? ამას თუ იმასაც დავამატებთ, რომ საქმე გვაქვს მოუწესრიგებელი ქვეყნის მოუწესრიგებელი საფეხბურთო მეურნეობის წიაღში შობილ კლუბთან, ვფიქრობთ, ყველაფერი ცხადზე უცხადესი გახდება.

ასე თუ ისე, კლუბთა სამი ევროტურნირად, ორს ქართველები უსახელოდ დაეშვიდობნენ, ახლა ჯერ კიდევ უფას თასზე და „დინამო“-„ლოკომოტივზე“, ვინძლო, ამით მაინც უწიონ შემოდგომას, თორემ ქართულ გუნდებს „ზაფხულში მიბურთაღია“ მეტსახელი ნაღდად არ ასცდებათ.

სიბუსისო ზუმას ვერც ვალერი აბრამიძემ დააკლო რამე და ვერც სხვა ქუთაისელებმა



REUTERS



მე, აფე

წერილი მესამე

მომენტი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში მარად დარჩება ჩვენი თვითმფრინავი მიუნხენის აეროპორტში ეშვება. ჩინებულის, მზიანს დარია, თვითმფრინავს ჩვენს საპატივცემულოდ ორი ვერტმფრენი მიაციდებდა. აეროპორტში უამრავ ხალხს მოუყვია თავი. ისინი ამ დღეს 25 წელი ულოდნენ. მე წინ ვიჯექი, ტყავის შარვალში გამოწყობილი. რაც მოაგარია, თავი ვვერდით შედგა, ჩემი თავი, ჩვენი თავი. ხშირად თვალს მისვენ ვაპარებ, მინდა დავრწმუნდე, რომ ეს სიხმარი არ არის, რომ ეს სინამდვილეა. ახლა თვალებს დავხუჭავ და წინა ხალამოს ვავისხენებ, ყველაზე დიდ ხალამოს ჩემს კარიერაში.

პანო ოპროპირიკა ბარლინიდან

მატჩი ეს-ესაა უნდა დაიწყო, მე კი თავს მოუსვენრად ვგრძობ. გუნდური ფოტოს გადაღებისას ტრიბუნაზე მარტინას ვერ მოკარი თვალი და მოუსვენრობის მიზეზიც ესაა. მალი-მალ ტრიბუნისკენ გამიბრბის მზერა, ბოლოს როგორც იქნა, დავინახე, მერვე რიგში იჯდა. სასიამოვნო გრძობა დამეფულა...
წარმოდგენია რა დიდ შოკს გამოიწვევდა მესამე წუთზე გაშვებული გოლი გერმანიაში. მატჩის დებიუტშივე უკვე 0:1 გაგებდით, თუმცა ჩემთვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა, არც ავლუკებულვარ. მჯეროდა გუნდის, ჩვენი შესაძლებლობების. თანაც მერჩინვა გოლი მე-3 წუთზე გაგვეშვა, ვიდრე 70-ზე.
ცოტა ხანში გათანაბრების შანსი მოე-

ვეცა, ჩემი წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. სიმართლეს ვეტყვი, იმ მომენტში მხოლოდ მაგაზე ვფიქრობდი, პენალტზე წავედი და ანგლომაც პროვოკაციაზე წამოვეგო. ამაში დამნაშავე მხოლოდ თვითონ იყო.
რატომ არ დავარტყი პენალტი თავად? ფეხბურთის დაუსწერელი კანონია, დაზარალებული არ ურტყამს. გარდა ამისა, შოლიც ჩინებულად ასრულებს თერთმეტმეტრიანებს, თუმცა ამჯერად ვერ ივარგა. „თავი მაღლა შოლი, ჩვენ აქ ისედაც მოვივებთ“ — შეეუძახე მეკმეთს, რომელიც ძალიან განიცდიდა. ამ დროს მე უკვე ვგრძობობდი, რომ „ვალენსია“ დაჭერილი გეყავდა, ესპანელები ჩვენი გავლენის ქვეშ მოქცეულიყვნენ. მათ მხოლოდ ეიმედებო-

დათ გამარჯვების, ჩვენ კი გვეჯეროდა ამისი. ჩვენი სურვილი და სწრაფვა მოელი სეზონის განმავლობაში ყველა გუნდისაზე მაღლა იდგა.
შესვენებისას გასახდელში ძალიან დამბულები რატომღაც სულაც არ ვყოფილვართ. „ასე გააგრძელეთ, ძალიან კარგია, გოლს აუცილებლად გაიტანთ“ — გვეუბნებოდა ჰიცფელი. „გახსოვთ ჰამბურგი, იქ შეუძლებელი შეგძელით, აქ კი შეუძლებელი არაფერია, წინ ხომ მიუღი 45 წუთი გვაქვს ჩვენ გაიმეორებთ ჰამბურგს“ — მიემართე ბიჭებს.
და 50-ე წუთზე მეტოქის კარში მეორე პენალტი დაინიშნა. ცული კაპიტანი ვიქნებოდი, პასუხისმგებლობა რომ არ მეკისრა. ყველანი დამბულები იყვნენ, ვერავის დავავალედი დარტყმას. ბურთი ავიდე, ხელებში ავთამამე და ნიშნულზე დავდე. კანისარესი მორიგ შოუს ატარებს — მსაჯს ეკამათება, დრო გაკჷყავს. უნდა, ამანერვიულოს. კარს უკან „ვალენსიას“ ქომაგები სხედან, რომლებიც ასევე ჩემს წყობიდან გამოყვანას ცდილობენ. მე კი ამ დროს თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებს — თუ ვერ გაიტან, გუნდს მოვკლავ. ორი გამოუყენებელი პენალტი უეჭველია უარყოფითად იმოქმედებს. ბურთი გავასწორე, უკან დავიხიე და კანისარესს თვალი თვალიმე გავუყარე, იმ წუთას მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით სტადიონზე. მე უფრო ძლიერი აღმოვჩნდი — მეკარე მარცხნივ გადახტა, ბურთი მარჯვენა კუთხეში შესრიალდა — ჩვენ ვცოცხლობთ.
ძირითადი თუ დამატებითი დროის ბოლომდე ბევრჯერ გამაძსენდა 1999 წლის ბარსელონის ფინალი. მაშინ ყველაფერი ერთი ხელის მოსმით დავკარგეთ. არ მინდოდა, ახლაც იგივე განმეორებულიყო. ბოლოს პენალტების ჯერიც დადგა. „ლოტმარ, მე ბოლოს დავარტყამ“ — ვუთხარი მწვრთნელს. ჩვენ თერთმეტმეტრიანებზე საერთოდ არ გვივარჯიშია, არც დამრტყმე-

REUTERS



შტეფან ეფენბერგი და ოტმარ ჰიცფელდი

ლთა სია გექონია წინასწარ მომზადებული.

პაულო სერუიო, სალიპაძიჯინი, ციკლერი, ანდერსონი და მე — ჰიცფელდმა ეს ხუთეული დაგვასახელა. თუმცა მინდვის ცენტრში თერთმეტეულე ფეხბურთელი ვიდექით. ჩემი თხოვნით ერთმანეთს ხელები გადავხვეით. სულ ერთია რა მოხდება, მთავარია, ჩვენ ერთად ვდგავართ. თითოეული, ვისაც აქ ღვომის ძალა შესწევს ჩემს თვალში უკვე გმირია — ვეუბნები თავს.


სერუიომ და ანდერსონმა პენალტები გააცულეს. ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა. თუ ვერ გავიტან, ჩემი ყველაზე დიდი ხნის ოცნება მოკვდება — ვეფირობ ისევე, არ შეიძლება ყველაფერი კანზე ეკიდოს, ოლივერიც ხომ ადამიანია. მეორედაც გავიტანე, ამჯერად საპირისპირო კუთხეში. ჩემს მერე ლიზარაზუმაც ივარგა. ვინ იქნება მეშვიდე? ვინ გაბედავს დარტყმას? უცერად თერთმეტკაციან ჯაჭვს თომას ლინკე მოსწვდა. ახლალა ვალიარებ, როცა ლინკე შევნიშნე, გულმა რეჩხი მიყო, საპირისპირო მხარეს შევებრუნდი. ქომავების რეაქციით მივხვდი, ლინკემ გაიტანა. მაშინ მთელ გუნდს ვუთხარი, ახლა კი მოვიგებთ-მეთქი. და ოლიმ საპასუხო დარტყმა მართლაც აიღო. ყველანი სიხარულის მორევში გადავეშით. 23:44 საათზე დადგა ნანატრი მომენტი — ჩემპიონთა თასი ჩავიხუტე. გერმანიის ჩემპიონის სინთან შედარებით, იგი ბევრად უფრო დიდი და მძიმეა, მაგრამ როცა იუჰანსონმა გადმომცა საოცრად მსუბუქი მეჩვენა. თასი მაღლა ავწიე და მერვე რიგისკენ გავიხედე, სადაც მარტინა მეგულებოდა. ჩვენმა თვალებმა უმაღლესს ერთმანეთი. მერე კი სიხარულის ცრემლიც გადმომცვივდა.

გასახლელში მთელი გუნდი სიხარულისგან ვლრაილებდით, ჭკუაზე აღარ ვიყავით. ცოტა რომ დავწყნარდი, იქვე ჩამოვჯექი

REUTERS









და მარლბორი გავაბოლე, უკვე შემძლეო თავისთვის ამის უფლება მიმეცა. ამ დროს გასახდელში ბეკენბაუერი შემოვიდა, რომელსაც სიტყვა იმ კრიტიკულ განცხადებაზე გადავუკარი, ჯერ კიდევ ჯგუფურ ეტაპზე ლიონთან 0:3 მარცხის მერე სახალხოდ რომ გააკეთა.

ზეიმი ავტობუსში გავაგრძელები. მე და ელბერი სიგარეტს ვწვოდით და ლულს მივირთმევდით. არასდროს ჰქონია ლულს და სიგარეტს ასეთი სასიამოვნო გემო.

„გაუმარჯოს საფეხბურთო გერმანიას! მაღლობა მას, რომ მხარი ბოლომდე დაგვიჭირა“ — ეს სადღეგრძელოც ავტობუსში შეისვა. მერე კი მილანში დისკო-ბარ „ალკატრაზში“ გადავინაცვლეთ, რომელიც მე და მარტინამ შუალამისას 4 საათზე დავტოვეთ. სიქა გაგვმერა იმდენი ვიცეკვეთ. იქიდან გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ მიხაელ ჰენკეს გავუარეთ და თასი გამოვართვი. მე და მარტინა მთელი ღამე როგორც პატარა ბავშვს ისე ვეფერებოდით. თასი იმ ღამეს ჩემს ოჯახს ეკუთვნოდა.

მიუნხენში ჩამოფრენილგუს წინ დიდი ზეიმი გველოდა, ქალაქში მანქანებით საპატიო წრის დარტყმა, შეხვედრა ქომაგებთან

მიუნხენის მთავარ მოედან მარიენბლატცზე, ჩვენს დასახვედრად ემზადებოდნენ რესტორანი KAFEQ და დისკო-კლუბი PAIXHA. ჩვენ ეს დავიმსახურეთ.

PAIXHA-ში მე და ჰიციველი კარგა ხანს ხელგადახვეული ვისხედით და განვილილ სეზონზე და მომავალზე ვსაუბრობდით. მაშინ, როცა გარშემო ყველა იღხენდა, ჩვენ გუნდის თაობაზე დისკუსია გავგეშართა. ბოლოს შევთანხმდით.

1. ჩვენ მოვიგეთ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ეროვნული ჩემპიონატი — ბუნდესლიგა.

2. მოვიგეთ მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირი — ჩემპიონთა ლიგა.

3. ჩვენ დავამარცხეთ მსოფლიოს საუკეთესო კლუბები — მადრიდის „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

4. გვყავს მსოფლიოს საუკეთესო მეკარე — ოლივერ კანი.

5. გვყავს მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი — ოტმარ ჰიციველი.

ყოველივე ამის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ — ბაიერნი უძლიერესი კლუბია მსოფლიოში. მორჩა და გათავდა.

ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი მიღწევის შენარჩუნებაა. თუ ყურადღებით ვიქცებით, დაცემა გარდაუვალია. ისევე მოგვივა, როგორც „დორტმუნდს“. 1997 წელს ამ გუნდმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო, თუმცა მერე კინალამ ბუნდესლიგას დაემშვიდობა.

ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთვის მოტივაციაა. შეიძლება ბევრი ფეხბურთელი უკვე კმაყოფილია მიღწეულით. ჩემპიონთა თასი, გერმანიის ჩემპიონის საძი ტიტული, ერთი ქვეყნის თასი. მეტის მიღწევა სამწელიწადში ფაქტობრივად შეუძლებელია. თუმცა ახალი მიზნები უნდა დავისახოთ. მე უკვე დავისახე კიდევ, „ბაიერნი“ უნდა გახდეს პირველი გერმანული გუნდი, რომელიც ზედიზედ ოთხჯერ მოიგებს ჩემპიონატს, ამას გარდა ჩვენი მუხუხუმის თაროებზე კიდევ დარჩენილა მცირე ადგილი. ვფიქრობ, იქ ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასიც დაეტევა.

ასე რომ, ჩვენი კონკურენტების გასაგონად ვიტყვი, „ბაიერნი“ „დორტმუნდის“ შეცდომის გამეორებას არ აპირებს. დაე გვიფრთხილდეთ — ჩვენ შინაურ და ევროპულ სარბიელზეც ყველაფრის მოგება გვინდა. ასეთია ჩვენი მენტალიტეტი.



სხვადასხვა

აღმოსავლეთისკენ

REUTERS




სოკ-ის ყოფილი და ახალი პრეზიდენტები: ხუან ანტონიო სამარანჩი და ჟაკ როჯი

მონღა მოსალოდნელი: 2008 წლის ოლიმპიადა მილიარდიან ჩინეთში გაიმართება. ეს ამბავი გაირკვა მოსკოვში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მმართველმა და ცოტა ნერვიულ კონგრესზე, სადაც ოლიმპიზმის შეფეხმა კიდევ ერთხელ შეაფასეს 5 ქალაქის - პეკინის, პარიზის, ტორინტოს, სტამბოლისა და ოსაკის ოლიმპიურ პრეტენზიათა მართებულობა, დააფასეს კი მხოლოდ ერთი, აღმოსავლეთის უდიდესი ქვეყნის დედაქალაქი, რომელიც კარგა ხანია უდიდესი სპორტული შოუს მასპინძლობისთვის იბრძოდა. ჩინელთა იმიჯის შერყენას მრავალნი მრავალი ხერხით ცდილობდნენ, მაგრამ ადამიანის უფლებების დარღვევამ და მისთანებმა სოკი პეკინისადმი სათანადოდ უარყოფითად ვერ განაწყო. კენჭისყრის ორმა ტურმა იკმარა პეკინის გამარჯვებისთვის და კრემლის სვეტებიან დარბაზში დიდმა კაცმა, მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩმა

ასობით მაყურებლისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ ოდნავი პაუზა გააკეთა და მერე სახეიმოდ ამოთქვა: პეკინი! ივრიალა სვეტებიანი დარბაზის ჩინურმა კვარტალმა და რამდენიმე ათასი კილომეტრის იქიდან მილიარდი კაცის მძლავრი მოძახილი გაისმა, ამ დროს კი ხუთი ადამიანისთვის ყველაფერი ჯერ კიდევ იწყებოდა, ისინი სამარანჩის მეგვიდრეობისთვის იბრძოდნენ. გაიმარჯვა პატიოსანმა ქორუგმა, ბელგიელმა ჟაკ როჯმა და პენსიაზე გასული მარკიზის საპატიო სავარძელში ჩაბრძანდა. ოლიმპიზმის ისტორიაში მონაკვეთი დასრულდა და ახალი დაიწყო.

მეცხე სეხე

REUTERS



მიკა პაკინენი

არც ივლისში ყოფილა იმის ნიშნები, რომ ფორმულა 1-ში მიხაელ შუმახერის ბატონობას ვინმე ან რამე შეარყევს, თვის დასაწყისში მსოფლიოს საუკეთესო „მოფერმა“ საფრანგეთში მანი კურის ტრასაზეც გაიმარჯვა და რაღვ შუმახერის მეორე ადგილმა განამტკიცა მოსაზრება შუმახერთა კლანის დიქტატურულ პრეტენზიებზე. ამ დროს კი საბრალო მიკა პაკინენი ჭირის ოფლს იწყენდა, მისი ვერცხლისფერი ბელაური კიდევ ერთხელ ვერ მისულიყო ფინიშამდე და ჭმუნვა სუფევდა მთლად „მკლარენის“ საჯინიბოშიც. ბრიტანულ გუნდს კონსტრუქტორთა პირველობაში „ფერარის“ დაწევის იმედი ხომ გადაეწურა, ახლა „უელდამის“ დაუახლოვდა სახიფათოდ და მეორე ადგილს ეცილება. მანი კურის შემდეგ სხვაობა 20 ქულაც აღარ იყო. პაკინენი გაბრაზდა:

ორ კვირაში პილოტებმა ლამანშის ვადადმა, კუნძულ დიდ ბრიტანეთს მიაშურეს, სილვერსტონზე გაინავარდეს და მაშინ მიკამ აიწყვიტა. უნაკლო იყო მისი რბოლა, პიტსტოპების ტაქტიკა და მისთანები, ამიტომ გაოცებულ უფროს შუმახერს დიდი ხნის დევნა ამაოდ დაურჩა. პაკინენის პირველი ადგილი უმნიშვნელო იყო პრაქტიკული და უაღრესად საჭირო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით: პაკინენის ჩამოწერაზე ლაპარაკი კარგახნით გადაიდო.

სატრანსფერო ალმარტი

ალამიანის ფასი განუზრელად იზრდება. 800 წლის წინ რომელიღაც თურქი სულთანის ტრანსფერი თამარ მეფის ტყვეობიდან სამშობლოში ცხენის ნალის ფასად განხორციელდა. მოგვიანებით ზანგი მონები ბამბის პლანტაციებში ასეულ ან ათასეულ დოლარებად მიჰყავდით, 8 ივლისს კი გასაოცნებელი თანხა დასახელდა: მადრიდის „რეალმა“ ზინედინ ზიდანში გადაიხადა, არც მეტი, არც ნაკლები 64 მილიონ 400 ათასი დოლარი, ეს კი — მოგებებზე უკვე განმეორება — ბევრით არ ჩამორჩება საქართველოს რეალურ ბიუჯეტს.

ესპანეთის სამეფო კლუბმა ზიზუს ყიდვით თავისი მსოფლიო შოუს კიდევ ერთი ნომერი აჩვენა. ვალებით სავე კლუბის შეფები განაგრძობენ ვინისის წიგნისკენ სიარულს. „რეალმა“ დაამყარა შარშანდელი სატრანსფერო რეკორდი, როცა ლუიშ ფიგუ 56 მილიონად შეიძინა და წლევეანდელზე უკვე მოგახსენეთ. ვარსკვლავებით კიდევ უფრო გამებელი „რეალი“ ყველაფრის მოსაგებად ითამაშებს, მაგრამ ფეხბურთს მარტო ფული რომ იგებდეს, საუღის არაბეთი ან იაპონია იქნებოდა მსოფლიოს ჩემპიონი. არის სხვა რამეებიც და ამიტომ „მანჩესტერ იუნაიტედო“ იქნებ ცოტას ხარჯავდეს, მაგრამ არანაკლებს იგებს კი...

თუმც, ივლისში „მანჩესტერმა“ ხელი გაშალა და 12 ივლისს 39,3 მილიონი დოლარი ჩაუთვალა „ლაციოს“ ხუან სებასტიან ვერონის სახაცვლოდ. ეს ზოგადბრიტანული რეკორდია და „მანიუს“ მთელი ნალები, პრეზიდენტი და მწვრთნელიც აცხადებენ, რომ არგენტინელი იმ გამონაკლისითგანია, ვინც ნაღდად ამდენი ღირს.

ხოლო „ლაციოს“ ვერონში აღებული მილიონები მიწაში არ ჩაუმარხავს. კვირასაც არ გაველო, რომ მარადიულ ქალაქელთა ბანაკის მეტროპოლი გახდა გაისკა მენდიეტა, რომელსაც „ვალენსია“ 41 მილიონად შეელია და ესეც რეკორდი გახლავთ — მენდიეტა ისტორიაში ყველაზე ძვირი ესპანელი ფეხბურთელია.



უპროტოპრვა ზვიგანის ბენეფიცი




იან ტორპი

თუ არ ჩავთვლით იმას, რომ იაპონელმა წყალბურთელებმა სულ ბოლო ადგილზე გასვლით ქომავთა რისხვა დაიმსახურეს, ფუკუოკას საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატზე სრული მხიარულება სუფევდა. იაპონელმა გოგობმა მიბაძეს დანარჩენ მსოფლიოს და ემოციურად ინადირეს წყლის გმირებზე, როგორებიც რუსი რომან სლოუნოვი, შვედი ლარს ფროლანდერი, ავტრალიელები მაიკლ კლიმი და გრანტ ჰეკეტი, პოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენანდი გახლავან, ხოლო ვაჟკაცთა მხერა არ შორდებოდა ინგე დე ბრუინის ყველაზე სწრაფ ცურვასა და ტერეზა ალსამარის ნამეტნავად მიმზიდველ ტან-ფეხს. კიდევ უნგრელი აგნეს კოვანის ლამაზი თავი იყრობდა საზოგადოებას და ბევრ სხვასაც არა უშავდა (მოცურავეები ძირითადად ლამაზი ხალხია), ამიტომ ფუკუოკაში ცხოვრება ღულდა და დუღილის ცენტრში ვხედავდით იან ტორპს თავისი ზორბა ტერფებითა და

ოქროს მედლებით, რომელთა ოდენობა დღითიდღე მატულობდა. მაგრამ ტორპმა ბლომდე ვერ მიიყვანა თავისი ფანტასტიური პროექტი, რომელსაც „7 ოქრო“ დაარქვა და ჯერარგონილის მოხერხებას გულისხმობდა. ავტრალიელ თინეიჯერს იქამდე თავისუფალი სტილით 100 მეტრიანი დისტანციის მოგება დააკლდა, რომელშიც იგი ზოგადად ვერაა ძლიერი და ფუკუოკაშიც საპრიზო ადგილს არ გააკარეს, მაგრამ ეს არაფერი: მსოფლიოს რეკორდიც ზომ ბარე ორი ღამსო.

ხოლო იაპონიისთვის უიღბლო წყალბურთის ფინალში ესპანეთი იუგოსლავიას მოერია. აი, პირველი ხუთეული: ესპანეთი, იუგოსლავია, რუსეთი, იტალია, უნგრეთი.

სხვადასხვა



ვინუს უილიამსი

REUTERS



გორან ივანიშვილი ხორვატთა სიამაყეა

გორანის დაბრუნება

დავით გულუა

კვლავ გაიჭიმა გრძელი რიგები სალაროებთან, ხალხს ბალახზე ეძინა, რომ როგორმე ხელი ეგდო იმავე ბალახზე გასამართი უდიდესი საჩოგბურთო შეჯიბრის — უიმბლდონის ტურნირის ბილეთი, რომელსაც სამართლიანად მოთფილის არაოფიციალურ ჩემპიონატადაც უწოდებენ. ბოლოს კორტგარე რიარია მიწყდა და ახლა უიმბლდონის ცენტრალურ, პირველ და სხვა კორტებზე ატყდა ჩოგნების ხათქუნი და მცირე ბურთებმა ყუმბარის სიჩქარით ფრენა იწყეს. ივნისის ბოლოს ამ ყველაფერს მაყურებლის ხმაური ნაკლებად ერთვოდა, რადგან ჯერ უფრო წვირღუფეობა არკვევდა ურთიერთობებს, მაგრამ იმატეს სიჩქარეებმა და იმატა ხმაურმაც. ჯანაინი ფაფორიტები ნელ-ნელა ხურდებოდნენ. ყველა, გარდა მარტინა ჰინგისისა, ვისაც ჯერ კიდევ საჩოგბურთო რანგთა ტაბელის სათავეებში ვხვდავთ, მაგრამ 21-ე საუკუნეში კუნთა ქალებთან ჰიდილი წესით ძლიერ უნდა გაუჭირდეს.

საბრალო ჰინგისი პირველსავე წრეში ვინმე ესპანელის, ვირხინია რუანო პასკუალის ხელით აღესრულა და წაგება მყესების ანთებით ახსნა, მარამ იგი აღარ ახსოვდათ, სხვებს უყურებდნენ და ყველაზე მეტად ჯენიფერ კაპრიატის, ბავშვობაში ამომავალ ვარსკვლავად წოდებულს, მერე ნარკოტიკების მიჯნურს და წლეულს კი სასწაულებრივად აღმდგარს. კაპრიატის უკვე მოესწრო დიდი სლემის ორი ტურნირის მოგება ავსტრალიასა და საფრანგეთში, სურდა ორი დარჩენილიც, რაც უნიკალური „დიდი სლემის“ მოპოვების



ნიშანი იყო. მაგრამ კაპრიატის ოცნება უიმბლდონზე შეფერხდა, აუსრულდა კი მას, ვისგანაც ამას ყველაზე ნაკლებ ელოდნენ და უიმბლდონზეც მხოლოდ ძველი სახელისთვის, „უაილდ ქარდი“ მიიწვიეს. გორან ივანიშვილი სამჯერ მოხვდა უიმბლდონის ფინალში და სამჯერვე დაღრევილი წავიდა იქიდან. მაშინ ხორვატი ელიტის წვერი იყო, უქებდნენ უძლიერეს მოწოდებას და რიგიან თამაშს, ხოლო ამჯერად თავიდან ყურადღება არავინ მიაქცია. პირველ ხანებში მასმედია მსჯელობდა იმაზე, რომ პიტ სამპრასი მძიმედ იძვრის და როჯერ ფედერერისგან მისი გაგდება სენსაციად გამოცხადდა — სამპრასი ხომ ბოლო წლების უიმბლდონის სიმბოლო იყო. გავარდა ევგენი კაფელნი-

კოვი — ამ ფაქტსაც ფრიადი ყურადღება ატო. იქით, ქალებში, აწვევტილი კაპრილო რომ პაწია ჟუსტინ ენიმა გაავლო — ეს ამბავიც ფართოდ გაშუქების საბაბი განდა და ბოლოს, ეპიკური ნახევარფინალი ანდრე აგასისა და პატრიკ რაფტერს შორის, ავსტრალიელისგან დრამატულად მოგებული — თითქოს ივანიშვილი ვის ახსოვდა, მაგრამ მაშინ უკვე გაიხსენეს, რადგან ბლანჟინმა ხორვატმა ნახევარფინალმდე კულამიძეუბული გაუშვა ბეკერი და მათგან ორი საჩინო ყმაწვილი, ენდ როდიკი და მარატ საფინი. ქომაგებმა აღმოაჩინეს, რომ მტკივანი მზრის მიუხედავად ივანიშვილის საშინელი სიჩქარის მოწოდებები არ დავიწყნია, ძველებურად ათობით ვისს ავდებს და ფორტუნაც თითქოს მის მხარეზეა: ნახევარფინალში მოსული წვიმა უადრესად დროული გამოდგა ხორვატისთვის, თორემ აწვევტილი ტიმ ჰენმანი იქაურთა გასახარად, ალბათ, სძლედა კიდევ.

ფინალი კი არამარტო ჩოგან-ბურთის თამაში იყო. ივანიშვილისა და რაფტერის ნერვებმა შუამოხა შეწყვიტეს და გადამწყვეტი სეტის ბოლოსკენ აღარც ხელები მორჩილებდნენ ტვინიდან მოსულ ბრძანებებს: ივანიშვილიმ ერთხელ აშკარად აუტში მიმავალ ბურთს რატომღაც ჩოგანი დაუხვედრა, რაზეც რაფტერმა სამი გათამაშების უაზრო გაფუჭებით უპასუხა და მათგან მესამე გადამწყვეტი გამოდგა. ივანიშვილიმ მოიგო მარათონი 6:3, 3:6, 6:3, 2:6, 9:7 და თითქმის მაშინვე ზაგრების ქუჩები ხალხით გაივსო, მაგრამ მთავრობას არ შემინებია — ეს სახეიმი დემონსტრაცია იყო.

კანალოზასის ვილი

REUTERS




ირაკლი ფირაფილი

მაიკლ ჯორდანის კალათბურთიდან წასვლამ ერთბაშად ჩამოაბნეულა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ცა. ყველა დროის უძლიერესი კალათში ბურთის ჩამტყდების პენსიაზე გასვლამ კალათბურთის ქომაგთა არმიას რამდენიმე მილიონი კაცი გამოაკლო, თავად ნბა ათეულობით (იქნებ ასეულობით) მილიონი დოლარით აზარადა და გვარიანდაც დასცა სპორტის ამ სახეობის პრესტიჟი. მაგრამ კალათბურთი ხომ მამლების ძიძგილაობა არაა, გულშემატკივარი ყოველთვის მრავლად ეყოლება, მთავარია ხალხმა იპოვოს ის, ვისი ქომაგობაც ღირს. ჯორდანის შემდეგ ეპოქაში ბევრი ნიჭიერი ყმაწვილი გამოვიდა სარბიელზე — კობი ბრაიანტი, ვინს კარტერი, ტრეისი მაკგრეიდი, რეი ალენი... თუმცა ესენი სამარადეამო ვარსკვლავები არ არიან. აი, კიდევ ერთ ყოჩად ბიჭს ალენ აივერსონს კი ცოტა მეტის პრეტენზია აქვს. ის ჯერჯერობით უძლიერესია და იქნებ მომავალი ათწლეულის „ჯორდანადაც“ მოიხზებოდეს, მაგრამ მთლიანობაში ალენ აივერსონი დიადი მაიკლის ცუდი ვარიანტი გახლავთ, ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით.

ხულიბანო ჯორდანი

გარდა იმისა, რომ მოედანზე ბადალი არ მოეძებნებოდა, მაიკლ ჯორდანი სხვა ღირსებებითაც უხვად იყო შემკული: სამაგალითო მოქალაქე გახლდათ, თავდაჭერილი და არც ჩაცმა-დახურვის კულტურა აკლდა. ალენ აივერსონი კი დიადი წინამორბედის სრული ანტიპოდი. ბურთი და მოედანი იქით იყოს და მისი მოედანსგარეთა ცხოვრება ერთობ გამაღიზიანებლად მოქმედებს ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებზე. აივერსონი ეწვევა მარისუნას, ყნოსავს კოკაინს, ეჩხუბება (უფრო ზუსტად ეჩხუბებოდა) მთავარ მწვრთნელს და მეტად საეჭვო ხალხთან მძაკაცობს. კიდევ, აივერსონი მძიმე რეპის სტილის თავყვანისმცემელია და მუსიკოსობაზეც თავს სდებს. შარშან მან გამოუშვა საკუთარი ალბომი, რომელმაც შეერთებული შტატების მკვიდრთა წესიერი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. აბა, რა იქნებოდა, როცა მისი სიმღერე-



მოკლა და ცხრა წლით მიაგლინეს ციხეში. ყოვლისშემძლე ჟურნალისტებმა კი საიდანაღაც გამოქექეს ამ კაცსა და კალათბურთის ვარსკვლავს შორის არსებული „ახლო ნათესაური“ კავშირი.

მშობელი მამის ვინაობის შეტყობას და მის ცხრა წლით ციხეში მივლინებას აღენ აივერსონზე დიდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. მისთვის ეს იყო სრულიად უცხო ადამიანი და სკანდალური ამბავი მხოლოდ იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც მასში მისი სახელი ფიგურირებდა.

ერთადერთი ადამიანი, ვისგანაც აივერსონს მძიმე ბავშვობაში მამობრივი სითბო ახსოვს, ვინმე მაიკლ ფრიმენია, დედამისის საყვარელი, ადამიანი, რომლის მსგავსებასაც შერთებულ შტატებში საზოგადოების ნაწილს ეძახიან. მართალი რომ ითქვას, ასეთი იყო აივერსონის ბავშვობაში მის გარშემო მოტრიალე ყველა სულიერი. საიდუმლოს არ წარმოა-

დგენს დედამისის ოდინდელი პროფესია. აღენ აივერსონის დედა მეძავი გახლდათ — დღევანდელი მსოფლიოს უძლიერესი კალათბურთელი 26 წლის წინ დღის სინათლეს ვერ იხილავდა, 15 წლის ენ აივერსონს აბორტის ფული რომ ჰქონოდა. რაც შეეხება მაიკლ ფრიმენს, ეს კაცი ხელსაც უწყობდა საქმიანობაში. მარტივად რომ ვთქვათ, მისი სუტენიორი იყო.

აღენ აივერსონი თბილად იფიქრებს ამ კაცს: „ის, ისევე როგორც ყველა ჩვენგანი, ცხოვრებამ გათელა. მაიკლს ვუყვარდით, იგი ყველანაირად ცდილობდა ოჯახი შეენახა. მან ყველაფერი სცადა. ერთხელ მასსოვს სახლში მოვიდა და ატირდა. ცხოვრება არასდროს ყოფილა მისთვის სიამოვნება. ოჯახის შენახვის პასუხისმგებლობა არასდროს მოუხსნია თავიდან. ციხეშიც ხშირად უწევდა ყოფნა და დღესაც იქაა. ერთხელ, როცა სანახავად მივედი, გული მომიკვდა, ფე-


ბი გაჯერებულია ამგვარი ფრაზებით — „თუ იარაღს ამოიღებ, უნდა ისროლო კიდეც“. რამდენიმე სიმღერა კი პისტოლეტის სროლის და მომაკვდავის ხრიკის აკომპანიმენტით სრულდება. მაშინ საქმე იქამდეც კი მივიდა, ნბა-ს პატრიარქმა დევიდ შტერნმა თავზედ ბიჭუნას მოსთხოვა ან სიმღერებიდან საზოგადოების შეურაცხმყოფელი ფრაზები ამოიღე, ან ალბომი არ გაიყიდებაო, აი ასე. არც ისაა საიდუმლო, რომ დღესდღეობით მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი ადრეულ ჯვეელობაში ოთხი თვით ვირების აბანოს ხეხდა და ამ საქმით ოთხი თვის ნაცვლად ხუთი წლით იქნებოდა დაკავებული, მისი მშობლიური შტატის, ვირჯინიის გუბერნატორს რომ არ შეეწყალებინა.

დაიხს! ნბა-ს წლებანდელი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე და ლიგის პირველი მექულე ხულიგანი გახლავთ და ამას არც მალავს. აი, ეგეთი ვარ და თუ ვინმეს არ მოვწონვარ, ეგ ამბავი ფეხებზე მკიდაო — იძახის.

ვერც იქნება სხვანაირი, ძნელი ბავშვობა ჰქონდა, თუმცა ნბა-ში ღუხჭირი ბავშვობით ვერავის გააკვირვებ. იქ მოთამაშეთა ორი მესამედი თუ არა, ნახევარი მაინც ზანვთა გეტლებში, დიდ გაჭირვებაში იზრდებოდა და კომპიუტრული ცხოვრება კინოფილმებში თუ ენახა, მაგრამ ამ მხრივაც ცუდი გამონაკლისია აივერსონი.

ამბავი და სუტენიორი

დედამისს ენ აივერსონი ჰქვია და ეს ქალბატონი მხოლოდ 15 წლის გახლდათ, როდესაც მსოფლიოს კალათბურთის მომავალი სუპერვარსკვლავი მოველინა. 1997 წლამდე აღენმა არ იცოდა ნამდვილი მამის ვინაობა და ოთხი წლის წინ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით შეიტყო მშობლის სახელი და გვარი — აღენ ბრაუტონი. მაშინ ამ „ღირსეულმა პიროვნებამ“ საყვარელი



REUTERS

ნზე ტყავის ნაგლეჯები ეცვა და იქიდან გასისხლიანებული თითები უჩანდა. ჩემი წულები დავუტოვე და შინ ფეხშიშველი წამოვედი. როცა სასჯელს იხდიდა, ჩვენ განსაკუთრებით გვიჭირდა. მას რომ ასეთ დროს ჩვენი ცხოვრება დაენახა, ვერ გაუძლებდა, მოკვდებოდა.“


ფრიმენი წესიერი გზითაც ცდილობდა ოჯახის რჩებას, ნიუპორტის ნავსადუგრში მუშაობდა, თუმც მალე დაკარგა სამსახური და იძულებული გახდა ხელი სუტენიორობისთვის და ნარკოტიკების გაყიდვისთვის მიეყო. პირველად 1991 წელს ჩავარდა, როცა სამართალდამცავებმა იგი ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის ამხილეს. როდესაც ფრიმენი ფაქტის წინაშე დააყენეს, ესლა თქვა: „თქვენ დედაც... მე არ დავდიოდი კადილაკებით. ამ ფულით წამლებს ვყიდულობდი და ექიმებს ჰონორარებს ვუხდიდი.“ ეს ცხოვრებით გაწამებული ადამიანი საწამლავს ყიდდა, რათა თავისი ავადმყოფი შვილისთვის, ალენის ნახევარდა ლიეშასთვის წამლები ეყიდა.

ყვავილი ნახვზამ აპოლის

ალენ აივერსონის დედა კონექტიკუტის შტატიდანაა. სწორედ იქ გაჩნდა ალენი. დედამის ენს უკვე ჰქონდა ალენ ბრაუტონთან და მისი ჯურის ხალხთან მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. საყვარელს ორსულობა რომ შეატყო ბრაუტონმა, მაშინვე მიატოვა იგი. შემდეგ კი ენ აივერსონმა მაიკლ ფრიმენი გაიცნო და მასთან ერთად ვირჯინიას შტატის ქალაქ ჰამპტონში გადასახლდა. ოჯახმა იქირავა ყველაზე იაფი სახლი, როგორც კი არსებობდა ამ ზღვისპირა, მიყრუებულ და ჭუჭყიან ქალაქში. ეს სახლი ქალაქის ბოლოს, ზედ ცენტრალურ საკანალიზაციო მილზე იყო აშენებული. საკანალიზაციო მილი არ დავიდევდათ ოჯახის გაჭირვებას, ხშირად სკვდებოდა და სახლის იატაკი ბინძური წყლით იფარებოდა. ამის გამო ალენის მეორე ნახევარდა ლიეშა (პირველი, ბრენდი ოთხი წლით უმცროსია ძმაზე) დაბადებიდანვე სერიოზულად დაავადდა, ეს კი ისედაც ღარიბ ოჯახს უძძიმეს ტვირთად დააწვა.

„სახლში რომ მოვდიოდი, ხშირად არ მხვდებოდა სინათლე, საჭმელი და წყალი. ხანდახან იატაკი ბინძური წყლით იყო დაფარული და მაშინ იძულებულიები ვიყავით ღამე გარეთ გაგვეთია“ — ივონებს აივერსონი. ცნობილ კალათბურთელთაგან ბევრს გადაუტანია მძიმე ბავშვობა, მაგრამ ძნელად, რომ ვინმეს ოდინდელი ყოფა აივერსონისას შეედაროს.

ხანგური გეტოების მილიონობით და-



ტაკ მკვდრს, გაჭირვებისგან თავის დასაღწევად ლამის ერთადერთი გზა რჩება, პროფესიული სპორტი, მაგრამ ამ ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს ამას. აივერსონმაც სპორტით დაიწყო. იგი თავისი ასაკის ბავშვებში, სკოლაში, ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა კალათბურთსა და ამერიკულ ფეხბურთში. სიმართლე რომ ითქვას, ამ ორიდან უკანასკნელს მეტ უპირატესობას ანიჭებდა, რადგან კალათბურთს სპორტის ძალზე რბილ სახეობად მიიჩნევდა და ეს აზრი არც ახლა შეუცვლია, როცა ამ საქმეში პირველთა შორისაა. უბრალოდ კალათბურთში მეტი ნიჭი აღმოაჩნდა და ეს პირველმა დედამისმა შენიშნა. დედამ ყველა ღონე იხმარა, რათა შვილს

არ დაენებიბინა კალათში ბურთის სროლისთვის თავი. ალენს ხშირად უცრუვდებოდა გული, თუმც ენი გამუდმებით ჩასჩიჩინებდა, რომ კალათბურთი ერთადერთი გზა იყო ნათელი მომავლისკენ.

სკოლას რომ ამთავრებდა, აივერსონი უკვე გახლდათ იქაურ ყმაწვილთა კერა და აქ კალათბურთი კიდევ ერთხელ დადგა მომავალი სუპერვარსკვლავის დაკარგვის საფრთხის წინაშე. სკოლის დამთავრების აღსანიშნავად ალენმა მეგობრებითურთ ჯერ ბარს მიაშურა, შემდეგ კი ბოულინგის ცენტრს, სადაც შავ და თეთრ ყმაწვილებს შორის დიდი ჩხუბი ატყვდა. აივერსონი და კიდევ სამი შავკანიანი დააპატიმრეს. აივერსონს დაუმტკიცეს, რომ მან ვიდაც თეთრ გოგოს



აღენ აივერსონს (№3) მოედანზე არავის რიდი არა აქვს

თავზე სკამი გადაამტვრია და ხუთი წლით ზუსტად იმავე ციხეში გაუშვეს, სადაც ცოტა ხნით ადრე მისი მამობილი იჯდა. აივერსონის (და კალათბურთის) საბედნიეროდ, იგი შტატის გუბერნატორმა შეიწყნარა და ოთხი თვის მოხდის შემდეგ თავისუფლება უბოძა.

შემდეგ, დრო აღარ დაუკარგავს, 1994 წელს ცნობილ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში შეყო თავი, თუმც არ დაუმთავრებია. ოჯახს უწინდებურად უკიდურესად უჭირდა, ამიტომაც აღენმა ორი კურსის დახურვის შემდეგ სწავლას თავი მიანება და მიაშურა ნბა-ს, სადაც ნიჭიერი ბიჭებისთვის ფული „ჩეჩქვითაა“. ნბა-ში მისი ნიჭი უცებ გაიფურჩქნა.

აპრილი ფული

დღესდღეობით აივერსონი ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა და წელიწადში თერთმეტ მილიონს იღებს გასამრჯელოდ. უმუქობა, შიმშილი და გაჭირვებაც წარსულს ჩაბარდა, თუმც მას არ შეუცვლია მძიმე ცხოვრების გამო ჩამოყალიბებული ხასიათი. „მე ვაფასებ, რაც მან გააკეთა საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის, მაგრამ მოედანზე ეს არ მაინტერესებს. ერთხელ თქვა, რომ თამაშისას პატივისცემას გრძნობს მოწინააღმდეგეთაგან, მაგრამ მე ამით შო-

რის არ ვარ. მოედანზე ის ჩემთვის არარობაა, რადგან თუ თვალბში შესცივინე, თავად იქნები არარობა“ — აი, ასე ფიქრობს ჯორდანზე ჯორდანის მეგვიდრე.

დღესდღეობით აღენ აივერსონი, ალბათ ბედნიერია — ჰყავს მეგობარი გოგონა ტავანა ტერნერი, რომელზეც ორი წლის წინ დაინიშნა და წლეულს ალბათ, ცოლადაც მოიყვანს. მისგან აღენს ჰყავს ორი შვილი, ოთხი წლის გოგონა ტიაურა და ორი წლის ბიჭი აღენ მეორე (თუ მესამე?), რომელსაც მამა დიუსს ეძახის.

წარსულის სიღარიბემ მასზე კვალი დატოვა. აივერსონს ფუფუნებით ცხოვრება მოეწონა, ფულსაც დაუნანებლად ხარჯავს. ჰყავს რამდენიმე ძვირფასი მანქანა, დედამისის კი ოთხი წლის წინ ბოლო მოდელის „აგუარი“ უყიდა. თითქოს უფულობა ზარავსო, აივერსონი ყოველთვის ჯიბით ატარებს დიდ თანხას. ერთხელ ინდიანაპოლისში სასტუმროს ნომერში ლეიბის ქვეშ ექვსი ათასი დარჩა და პირადი მცველი გააგზავნა მის მოსატანად.

ცხადია, არც ქომავთა სიმცირეს უჩივის, ხალხი მას მოსვენებას არ აძლევს. მისი ყველაზე დიდი გულშემბატკივარი

კი დედამისი ენია, რომელიც „ფილადელფიას“ საშინაო თამაშებს არ აცდენს და საპატიო სტუმართა ადგილას მჯდომი ყოველთვის სიამაყით გადაულაპარაკებს ხოლმე მეზობლებს — „სამი ნომერი ჩემი ბიჭია“.



M S S G

ქართული იყოს თქვენი კლფრტოვანება

ტუზა სინარულიკა

თუ ნიუ იორკში, კენედის აეროპორტში ხართ, მანქანას იქვე იქირავებთ. შემდეგ, ასეთ მარშრუტს გირჩევენ: ბელთ პარკვით გადით სენტრალ პარკვებზე, აქედან დააღეჭით ბრუკლინ-ქუინზ ექსპრესვის, საიდანაც ქუინზ მითდაუნ ტუნელით გეგს პირდაპირ მანჰეტენისკენ დაიჭერთ, იქ კი დააკვირდით, 30-ე და 33-ე ქუჩებს შორის მდებარე მე-7 ავენიუს. თქვენ ხომ სწორედ აქ მოდიოდით, ეს „მედისონ სკვეარი“ გარდენია, როგორც თავად ნიუ იორკელები უწოდებენ მსოფლიოს ყველაზე ცნობილი სარბიელი. შენობა, რომელსაც ახლა ხედავთ 1968 წელს გახლავთ აშენებული, თუმცა, ერთი წუთით... ამაზე საუბარს კიდევ მოგასწრებთ, მანამდე კი ვკონებთ ბილეთები უნდა შეიძინოთ, რადგან დღეს „ნიუ იორკ ნიქსი“, სრულად კი „ნიუ იორკ ნიკერბოკერსი“ თამაშობს. დიას, თქვენ NBA-ს შეხედრას უნდა დაესწროთ. ეს ტელევიზიით უამრავჯერ გაქეთ ნანახი, ცოცხალი შთაბეჭდილება სხვაა, რაც თავადვე კარგად მოგეხსენებათ.

ბილეთები... „ნიუ იორკ ნიქსის“ თამაშებზე დასწრება 2000-2001 წლების სეზონში. ადგილების მიხედვით სხვადასხვა ფასი ღირდა: 25 დოლარი, 37 დოლარი და 50 ცენტი, 52 დოლარი და 50 ცენტი, 63 დოლარი, 74 დოლარი, 95 დოლარი, 195 დოლარი და 265 დოლარი. თქვენ რომელს შეიძენთ?


ა, ინტერნეტით გკონდათ შეკვეთილი? მაშ, კეთილი, რაკი ბილეთი ხელთ გაქეთ, გული კი საგულეს, გაავარძელოთ. იმას მოგახსენებდით, რომ შენობა, რომელსაც ხედავთ 1968 წელს ააშენეს, მაგრამ ეს მეოთხე „მედისონ სკვეარი“ გახლავთ. მანამდე, 49-ე და 50-ე ქუჩებს შორის, მე-8 ავენიუზე 43 წლის განმავლობაში სხვა ნაგებობა იდგა და „მედისონ სკვეარ გარდენი“ მას ეწოდებოდა. ის იყო მესამე „მედისონ სკვეარი“, რომლის ნაცვლად ახლის აშენება 1960 წელს გადაწყვიტეს. მშენებლობამ, მაშინ, 116 მილიონი დოლარი წაიღო და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ 1968 წლის 11 თებერვალს გაიმართა ფანტასტიკური შოუ დიდი ვარსკვლავების ბობ ჰოუპის და ბინგ ქროსბის მონაწილეობით.


ბატონო? უკან რატომ მივიღართ? კეთილი, თავიდან წამოვიწყეთ, უკანასკვლა, უბრალოდ, სიტყვამ მოიგანა. მაშინ, ასე დავიწყეთ: 1874 წელს პი.ტი. ბარნუმმა 26-ე ქუჩასა და მედისონ ავენიუზე მდებარე რკინიგზის დეპო დაანგრიდა და „ბარნუმის მონსტრთა კლასიკური და გეოლოგიური იპოდრომი“ ააგო. მისი გახსნა 27 აპრილს (როდინდელი ამბები აქეთ ზუსტად აღრიცხული, ხედავთ?) ეტლების რბოლით მოცეკვავე სპილოების წარმოდგენითა და ცეცხლისმყლაპველთა იონებით ჩატარდა. შემდეგ, იპოდრომმა რამდენჯერ შეიცვალა სახელი. ერთი წლის შემდეგ მას უკვე „გილმორს გარდენი“ ერქვა, 1979 წელს კი უწოდეს ის, რასაც დღემდე უწოდებენ.

ერთი სიტყვით, ეს იყო პირველი „მედისონ სკვეარი“, რომელიც 1889 წელს, ზუსტად იმავე ადგილას, 2 მილიონიანი მეორე „მედისონ სკვეარი“ შეცვალეს. მეორის გახსნა 1890-ის 16 ივნისს მოეწყო.

1925 წელს, ტერიტორია ნიუ იორკის სიცოცხლის დაზღვევის კომპანიამ შეიძინა და რატომღაც იქ თავისი სათავო ოფისის აშენება გადაწყვიტა. ასეც მოიქცა, ხოლო დანგრეული მეორე „გარდენი“ ადრე ხსენებულ მისამართზე 249 დღეში აშენებულ მესამე „გარდენად“ იქცა და 1968 წლამდე გაძლო.

ეს, მესამე „მედისონ სკვეარი“ თავიდან ხელოვნების ცენტრად ჩაიფიქრეს, მაგრამ ბოლო ასეთი ჰქონდა (ნამდვილ ბოლოზე





მოგახსენებთ: ჰოკეიში „რეინჯერსმა“ „რედ ვინგზთან“ 3:3 ითამაშა, კალათბურთში „ნიქსმა“ ფილადელფიას 115:97 მოუგო, ვესტმინსტერის ძაღლების კლუბმა კი შოუ მოაწყო.

თავი ხომ არ მოგაბეზრეთ? თამაშამდე ჯერ დროა და... ბატონო? არა, რას ბრძანებთ, რის მხოლოდ კალათბურთი, აქ უდიდესი შეჯიბრებები იმართება. აი, მოკლედ გეტყვი. „მედისონ სკვეარ გარდენი“ ნომერი ოთხი აქ უკვე ოცდაცამეტი წელიწადია დგას და მასზე მომხდარი ამბები ისტორიაში შევიდა. მაგალითად, 1971 წლის 8 მარტს მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის დიდი კრები სწორედ აქ გაიმართა, იმავე „ნიუ იორკ ნიქსმა“ ოთხჯერ აღმოსავლეთ კონფერენციის ჩემპიონობა, ორჯერ კი (1970 და 1973) სულაც NBA-ს ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ჰოკეის „რეინჯერსმა“ 1994 წელს სტენლის თასი მოიგო.

კიდევ „რეინჯერსი“ ორჯერ იყო „სტენლის თასის“ ფინალში, „ნიქსი“ კი სამჯერ NBA-ს ფინალში.

შეგვიძლია ქალების NBA-ზეც ვთხროთ. აქ თამაშობს „ნიუ იორკ ლიბერტი“, რომელიც ოთხ სეზონში სამჯერ იყო ფინალში...

ჰო, მართლა, ამის დაიწვევა, როგორ შეიძლება: 1999 წელს „გარდენზე“ „ოლ სტარზი“ გაიმართა.

რა ბრძანეთ? სპორტული სარბიელი ყოფილა? არ მთლად ვერა საქმე უბრალოდ, ვინაიდან თქვენ კალათბურთზე დასწრებას ოცნებობდით, ვიფიქრე, რომ მხოლოდ სპორტი გაინტერესებთ, თორემ... მოდით, ესე ექნათ, მე მოკლედ სპორტსგარდა ამბებზე მოგახსენებთ, თქვენ კი თუ არ გაინტერესებთ, აგერ, ჰოთ-დოგი იყიდება და იმით შეიქცეით თავი.

მაშ ასე, „გარდენ IV“ გახლდათ ელვის პრესლის (1972), როლინგ სტოუნზის (1969, 1972, 1975, 1981, 1998), ბარბარა სტრეიზენდის (1994, 2000), ფრენკ სინატრას (1974, 1991), მაიკლ ჯეკსონის (1998), ელტონ ჯონის (1973, 1974, 1976, 1982, 1984, 1986, 1988, 1989, 1992, 1995, 1998, 1999, 2000), ლედ ზეპელინის (1970, 1971, 1973, 1975, 1977) და კიდევ მრავალი მუსიკოსის მასპინძელი.

ახლა, ჩაკბიჩეთ ეგ ჰოთ დოგი და დაჯილდოვებებზე მოგახსენებთ. აქ გამართულა „გრემის“ და VHI-ის დაჯილდოვების ცერემონიაღებო.

ნუ ჩქარობთ, ცხოველების შოუებზე არაფერი გვითქვამს. ერთი წუთით, „მედისონ სკვერში“ მოქცევის წესებს მაინც გეტყვი... შიგ არ ეწვიან, გადაღება არ შეიძლება, დალევაც აკრძალულია...

აღრეა, ჯერ ნუ ჩქარობთ...
ეეჰჰ!







ԱՐԴԵՐՈՒԹՅԱՆ
ՖՈՒՏԲՈՒԼԻ
ՄԻՍԻՆԻՍՏՆԵՐԻ
ՄԵԾՈՒՄԸ